

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

22 ნოემბერი, 2011

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 18:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), იმედა დვალიძე, ნოდარ ფეიქრიშვილი, იოსებ ბარათაშვილი, მალხაზ ჯანგირაშვილი, გონა სვანიძე, ზვიად კორძაძე

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება;
2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება;
3. ს.ს.ი.პ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან შემოსული შეთავაზების შესახებ სამართლის სფეროში განათლების განვითარებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების მიზნით ადვოკატთა ასოციაციისთან მემორანდუმის გაფორმების თაობაზე;
4. 2011 წლის 10-11 დეკემბერს ჩანიშნული კრების დღის წესრიგზე მსჯელობა.
5. ეთიკის კოდექსზე მომუშავე ჯგუფის მიერ მიღებული შესწორებების განხილვა ეთიკის კოდექსთან მიმართებაში.
6. ეთიკის კომისიის არა ადვოკატი წევრის იური ვაზაგაშვილის განცხადება ეთიკის კომისიაში წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

7. სარევიზიო კომისიის წევრის დიტო ტორაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი;
8. გრიგოლ კოპალეიშვილის განცხადება ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებში დაგვიანებით რეგისტრაციის შესახებ.
9. სხვადასხვა

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. დაკმაყოფილდეს ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის მოთხოვნას.
2. დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწევრიანებაზე.
3. დამტკიცდეს 2011 წლის 10-11 დეკემბერს ჩანიშნული კრების დღის წესრიგის საკითხები სხდომაზე წარმოდგენილი სახით.
4. დაკმაყოფილდეს ეთიკის კომისიის არა ადვოკატი წევრის იური ვაზაგაშვილის განცხადება ეთიკის კომისიაში წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
5. დაკმაყოფილდეს სარევიზიო კომისიის წევრის დიტო ტორაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
6. დაკმაყოფილდეს გრიგოლ კოპალეიშვილის განცხადება ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებში დაგვიანებით რეგისტრაციის შესახებ. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს აღნიშნულ პირს.

ზაზა ხატიაშვილი

ასოციაციის თავმჯდომარე